# სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება #65

## (არამართებული ქცევა/ქცევის კოდექსის დარღვევა)

| | | | |
|---|---|---|---|
| მატჩი | თბ „აკადემია'ლაშარი"-რუსთავის „რუსთავი" | | |
| გუნდი | თბ „აკადემია'ლაშარი" | შეჯიბრი | I ლიგა |
| მატჩის თარიღი | 06/04/2025 | მატჩის ადგილი | თბილისი, რაგბი პლატო |
| რეგულაცია | სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია. | | |

| დარღვევის აღწერა | | | |
|---|---|---|---|
| პიროვნება, სტატუსი | | დაბადების თარიღი | |
| სახელი, გვარი | თბ „აკადემია'ლაშარი" | | |
| ☒მატჩის ოფიციალური პირი ☐პიროვნება | მატჩის მეთვალყურე - გია ჯავახიშვილი. | დარღვევა | ☒ აღიარებულია ☐ უარყოფილია |
| დარღვევა | სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია - დანართი #3: ფიქსირებული სანქციები, 1. სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტის მიერ წინასწარ დანიშნულ მატჩში მონაწილე, რომელიმე და/ან ორივე, გუნდის თამაშზე არ გამოცხადება საპატიო მიზეზ(ებ)ის გარეშე და/ან სრკ-ს საშეჯიბრო დებულების 7.1 (მატჩზე 12-ზე ნაკლები მოთამაშით გამოცხადება) პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის დარღვევა. | ☐ წითელი ბარათი ☐ საითინგი ☒ სხვა<br>თუ „სხვა" აღწერეთ : მატჩის მეთვალყურის, გია ჯავახიშვილის მატჩის ოქმი; | |

| განხილვის დეტალები | | | |
|---|---|---|---|
| განხილვის თარიღი | 08/04/2025 | განხილვის ადგილი | სრკ-ს ოფისი |
| თავმჯდომარე | მირიან თავზარაშვილი | | |
| სადისციპლინო კომისიის წევრები | ირაკლი ჩიქავა, ედუარდ ნაჭყებია | | |
| დამრღვევის დასწრება | ☒ კი (დისტანციური) ☐ არა | სხვა დამსწრეები : ☐ კი ☐ არა | |
| დამრღვევის წარმომადგენელი | | აღნიშნეთ ვინ | |
| განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები | მატჩის მეთვალყურის, გია ჯავახიშვილის მატჩის ოქმი; | | |

## დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. მატჩის მეთვალყურის, გია ჯავახიშვილის მატჩის ოქმი;

## დამრღვევის/წარმომადგენელის განცხადება

„აკადემია-ლაშარი“-ს მენეჯერი ვახტანგ კაშია - გუნდში არსებული ფინანსური პრობლემების გამო, ვერ დაურიგდათ მოთამაშეებს კუთვნილი ანაზღაურება, შესაბამისად უარი განაცხადეს თამაშზე.

## ფაქტობრივი მოცემულობა და მსჯელობა

1. 06/04/2025-ში სრკ-ს საშეჯიბრო სამსახურის მიერ დანიშნული იყო I ლიგის მატჩი თბ „აკადემია’ლაშარი“-სა და რუსთავის „რუსთავს“ შორის.
2. მატჩის მეთვალყურის, გია ჯავახიშვილის მატჩის ოქმის მიხედვით - მატჩი არ შედგა თბ „აკადემია’ლაშარის“-ს არ გამოცხადების გამო.
3. თბ „აკადემია’ლაშარი“-ს მხარემ ვერ წარმოადგინა თამაშზე არ გამოცხადების საპატიო მიზეზ(ებ)ი.

**მსჯელობა**

სადისცპლინო კომისიამ სხდომაზე წარმოდგენილი ფაქტობრივი მოცემულობების განხილვის და მსჯელობის შემდეგ დადგენილად ცნო თბ „აკადემია’ლაშარის“-ს მიერ სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია - დანართი #3-ს ფიქსირებული სანქციები: 1-ლი პუნქტის დარღვევა და მიიღო

## გადაწყვეტილება

1. თბ „აკადემია'ლაშარს" ჩაეთვალოს წაგება, დააკლდეს 3(სამი) საცხრილო ქულა I ლიგის საშეჯიბრო ცხრილში და დაჯარიმდეს 500(ხუთასი) ლარით.
2. კლუბის მიერ ფულადი ჯარიმის 7(შვიდი) კალენდარულ დღეში გადაუხდელობის შემთხვევაში თბ „აკადემია'ლაშარს" I ლიგის საშეჯიბრო ცხრილში დამატებით დააკლდება 2(ორი) საცხრილო ქულა.
3. რუსთავის „რუსთავს" ჩაეთვალოს ბონუსქულიანი მოგება და ანგარიში დაფიქსირდეს 30:0 მის სასარგებლოდ.

| | | | |
|---|---|---|---|
| თავმჯდომარე ხელმოწერა | მირიან თავზარაშვილი | თარიღი | 08/04/2025 |

- **გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.**